# საქართველო
## სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

4100, ქ.სენაკი, შ.რუსთაველის ქ.№243
243, Sh.Rustaveli Str., Senaki, Georgia

Tel.: 0413 27 60 60, 27 50 16
E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com
Web address : www.senaki-sakrebulo.gov.ge

№26 19 ივლისი 2021 წელი

**სენაკის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე 3 ერთეული გარე განათების ბოძის ნაწილი/წერტილის შპს ,,რკინიგზის ტელეკომისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის და წლიური საიჯარო ქირის ოდენობის განსაზღვრის თაობაზე.**

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი”-ს 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ.“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის, შპს ,,რკინიგზის ტელეკომის“ 01.07.2021წ. № 01-02/267 წერილის და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის 5 ივლისის 2021წ. №40-402118615 მომართვის შესაბამისად

1. მიეცეს თანხმობა სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 5 (ხუთი) წლის ვადით გადასცეს შპს ,,რკინიგზის ტელეკომს“ სენაკის ადმინისტრაციულ საზღვრებში (ჭავჭავაძის ქუჩა-2 ცალი ბოძი, ქურდოვანიძის ქუჩა-1ცალი ბოძი) მდებარე 3 ერთეული გარე განათების ბოძის ნაწილი/წერტილი ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის განთავსებისათვის.
2. სარგებლობის უფლებით ქონების გადაცემის წლიური საიჯარო ქირის ოდენობა შეადგენს 2(ორი) ლარს 1 ერთეული ხაზოვანი ნაგებობის/გარე განათების კონსტრუქციების ნაწილის/წერტილის გამოყენებისათვის, სულ 6 ლარი.
3. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: სენაკი, რუსთაველის ქ. №247)

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოადგილე, თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი ბადრი კალანდარიშვილი